ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულო

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N8

28 ივნისი

2022 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა

სარეგისტრაციო სია

28 ივნისი, 2022 წელი

1. ტარიელ ცომაია - თავმჯდომარე.
2. დავით ჯანელიძე.
3. ჯონი ახობაძე.
4. გიორგი გაგუა.
5. მანანა სირბილაძე.
6. პაატა კოხრეიძე.
7. ემზარ შუბლაძე.
8. ავთანდილ თადუმაძე.
9. ქეთევან კუტალაძე.
10. გივი ჯულაყიძე.
11. ვალერიანე ფოცხვერია.
12. ვაჟა სტურუა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

სხდომის

ოქმი N8

სამტრედია 28 ივნისი.2022 წელი

მიმდინარე წლის 28 ივნისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ცომაიას თავმჯდომარეობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: ტარიელ ცომაია, ვაჟა სტურუა, მანანა სირბილაძე, ჯონი ახობაძე, პაატა კოხრეიძე, დავით ჯანელიძე, გივი ჯულაყიძე, ქეთევან კუტალაძე,

დღის წესრიგი:

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

   /მომხსენებელი: ტ.ცომაია /

2. სოფელ ბაშში მდებარე 31022.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საფასურის დადგენის შესახებ.

   /მომხსენებელი: ტ.ცომაია/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის ,,სოლო 423"_ის უსასყიდლოდ სარგებლობის შესახებ.

   /მომხსენებელი: ტ.ცომაია /

4. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (8) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი (8) ხმით იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით

.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის გ-63.63220773 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულება.

ცვლილების მიხედვით, ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციას, ფასადების რეაბილიტაციას, ასევე მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობას, ქალაქ სამტრედიის იერსახის მოწესრიგებისათვის, განახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია.

სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადებას უზრუნველყოფს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ, წარმოდგენილ უნდა იქნეს სამუშაოების განხორციელების თანხმობის შესახებ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი. დაფინანსება : 100% - სამტრედიის მუნიციპლიტეტის მერია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს ცვლილება ეხება ბინებს, რომელთა გარე ფასადი მოსაწესრიგებლია ქალაქის იერსახის შესანარჩუნებლად, მაგრამ ბინის მცხოვრებნი ვერ იხდიან 5%-ს.

კომისიის წევრებმა იმსჯელა აღნიშნული საკითხზე და აზრი გამოთქვეს:

ვაჟა სტურუა - მოგახსენებთ, რომ ამ ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს აზრთა სხვადასხვაობა, ამიტომ გავაკეთებ განმარტებას. გააჩნია პროექტის მასშტაბს,ამიტომ მერიას უნდა მივცეთ თანხმობა,რომ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, დიდი მასშტაბის პროექტები დააფინანსოს 100%-ით.

ქეთევან კუტალაძე - არ ვეთანხმები ამ ცვლილებას, რადგან ვფიქრობ რომ უნდა იყოს განსაზღვრული კრიტერიუმები, რა გამონაკლისის შემთხვევაში დაფინანსდება პროექტი სრულად.

.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა (7) ხმით, (1)ერთი წინააღმდეგი (ქეთევან კულტალაძე), მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

<u>**დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით**</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო სოფელ ბაშში მდებარე 91022.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N34.09.42.097) 20000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საფასურის დადგენის შესახებ"განკარგულება.

კომისიის წევრებმა იმსჯელა აღნიშნული საკითხის შესახებ და ეთანხმება, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 91022.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N34.09.42.097) 20000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაეცეს ემელიანე კილაძეს, 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. ქირის საფასურად განისაზღვროს 350 ლარი, ხოლო ქირა განაწილდება ყოველ თვეზე და ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

ტარიელ ცომაია -ვეთანხმებით ზემოაღნიშნულს.

ჩემი წინადადება იქნება, რომ მომავალში აქცენტი გაკეთდეს პირობიან იჯარაზე. იჯარა გავიდეს აუქციონზე და იყოს პირობიანი,რათა ვიყოთ დაზღვეული.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა (8) ხმით, მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

<u>**დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით**</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის ,,სოლო 423"_ის უსასყიდლოდ სარგებლობის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა კომისიამ და აზრი გამოთქვეს.

ტარიელ ცომაია - ვეთანხმებით შესაწამლი აპარატების უსასყიდლოდ გადაცემას ბენეფიციარებისთვის,თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია,რომ მოხდეს ზემოაღნიშნული აპარატების პრივატიზება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა (8) ხმით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: /ტარიელ ცომაია/

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის
საკრებულოს
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის
სხდომის

ო ქ მ ი N8

(ნ.ფურცლად)

სხდომის თავმჯდომარე: /ტ.ციმაი

2022 წელ